38/4
916

№ 33—1916 | ფ ა ს ი 12 კაპ.
კვირა, 14 მარტიან.

ფელ. მეოთხე გამოცემისა

ჟურნალი წლ. ნ მ., ნახ. წლ. ვ მ. მისამართი: თბილისი, „თეატრი დაცხოვრება" იოსებ იმედაშვილის.

ეკატერინე ივანე ფორაქაშვილის ასული
სარაჯიშვილისა (1861—1916)
(იხ. ამავე ნომერში წერილი „სამგალითო ადამიანი")

საქართველოს სა... ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამობისთვის 14

დიდი საქმის ჩვენს საიუბილეო-სამწეხაროდ **ინიციატორები**. ოლო დარგში ახალი ხანა იწყება გასულ კვირას გარდაცვლილ ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის უზვი შეწირულობით.

ერთბაშად ამოდენი თანხა დღემდე ჯერ ჩვენს თეატრს არ ღირსებია.

თბილისის ქართული დრამატიულ საზოგადოებას პირველ ხანად ასი ათასი მანეთი და შემდეგ ორ მილიონიან თანხის მესამედი, ასნახევარი ათასი ქუთაისს თეატრის ასაშენებლად, წერა-კითხვის საზ-ას ასი ათასი მან. და საეთნოგრაფიო საზოგადოებას—პირველ ხანად ოცდ ხუთი ათასი მან. შემდეგ ორ მილიონიან საქმის ნასამედი თითოეულს,—დიდაც დიდი და საფუძვლიანი შეშფოთებაა...

ასევე, უყურადღებოდ არაა დატოვებული არც ერთი ჩვენი ისეთი დაწესებულება, რომელსაც მიზნად საერო საქმის სამსახური აქვს დასახული...

მაგრამ... ნათქვამია: კარგს მთქმელს კარგი გამგონე უნდაო,—ამ შემთხვევაში კი არა თუ კარგი **გამგონე**—კარგი **გამკეთებელიც** არის საჭირო.

ყველას მოეხსენება, განსვენებული დ. ვით და ეკატერინე სარაჯიშვილნი, სხვათა შორის, რა საუცხოვო ხასიათ-თვისებით იყვნენ დაჯილდოებულნი: თუ გასცემდენ რასმეს, ანუ ვისმეს შეეწყოდენ ინ პირობით, რომ ხელგამართული საქმე ანუ პირი უსათუოდ საზოგადოებას, ქვეყანას გამოსდგომოდა. შენაწევარი უქმად არ გაფლანგულიყო.

განსვენებულთა ასეთ მიმართულება და ნაანდერძევის მაღალ-აზრიანობა, ჩვენი თეატრის მესვეურთ ავალებს ამ თანხით სათეატრო საქმეს ისეთი საძირკველი ჩაუგდონ, რომ თავნი ხელოსნები იყოს და ნათავნიკი სათეატრო ხელოვნების აღორძინება-გაფვითარებას ხმარდებოდეს... აგრედვე წერა-კითხვის საზოგადოებამ, დღემდე თუ უსახსრობით ვერ შეძლო, დღე-დან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სახალხო-სამეურნეო სკოლაა დაფუძნებას...

მაგრამ ყველა ამაზე არა ნაკლებ საზრუნავია თვით იმ დიდი სამრეწველო საქმის ბედი, რომლის საშუალებითაც ეგოდენი შემოწირულება ერგო ქართველობას. ქართველ სოვდაგარ-ფულანდრებს ეკალებათ ეს საქმე—„დ. ზ. სარაჯიშვილის“ წარმოება—არ ჩაშალონ და კიდევ უფრო გაზარდონ.

მომავალი თაობის მადლობაც სწორედ იმათ ეკუთვნით, ვინც სარაჯიშვილთაგან დანატოვარ დიდ ქონებას ჩვენი დიდი საქმის საძირკვლად გონივრულად გამოიყენებენ...

გადაცყურცნილებს

ალ. გერასიმიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგალითო ადამიანი

ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა (1861—1916)

ჩვენი ერის აღორძინება-წინსვლის ისტორიას კიდევ ერთი შუქმფენი კაბადონი მიეკეცა,—

ესაა ცხოვრება და ღვაწლი ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილისა, რომელიც მარიამობისთვის 5 მოულდნელად გარდაიცვალა მლეთში, კავკავიდან თბილისისკენ მგზავრობის დროს.

დიაღ, გარდაიცვალა დიდი ადამიანი, მაგრამ გაუმარჯოს ისეთს გარდაცვალებას, რომლის შემდეგაც იწყება ახალი, ბრწყინვალე ცხოვრება...

ბრწინვალედ იცხოვრეს მოდგმათა ხსოვნაში და მარადის შუქს მოგვფენს ამ სამაგალითო ადამიანის ნაღვაწი.

ვინ იყო იგი და რითი დაიმსახურა საერო უკვდავება?

ეკატერინე დაიბადა 1861 წ. იანვრის 27, ქ. თბილისის სპასტიო მოქალაქის ივანე ფორაქაშვილის ოჯახში. მამა მისი ივანე დიდი მოიჯარადრე იყო, დედა—ნატალია იოსებ წილოსანის ასული, ძველებური ქართული ოჯახის შვილი. პატარა კატოს დროის კვალობაზე—საფუძვლიანი აღზრდა-განათლება მიაღებინეს: ზრდიდენ განთქმულ ფავრის პანსიონში, უმეტესად კი ოჯახში საგანგებოდ მოწვეულ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მასზე დიდი გავლენა ჰქონდა მამიდას—ნატალია სულხანშვილისას, რომელიც ძველებური ქართული ოჯახის ადათ-წესების მტკიცე დამცველი იყო და ქართული მწერლობის მცოდნეც. კატომ ზედმიწევნით იცოდა, ჩვეულებრივ საგანთა და სამშობლო ენის—ქართულის გარდა, უცხო ენებიც: ინგლისური, ფრანგული და გერმანული. იგი ბუნებით იყო სათნო, ღვთის მოსავი, ძველებურად ოჯახის დიდი მზრუნველი, შრომის მოყვარე, მუყაითი და ლმობიერი, მარად კეთილის მოყოფელი ადამიანი, ამ სიტყვის უაღრესი მნიშვნელობით. როგორც ღვთის მოსავი, მტკიცედ ასრულებდა სახარების სიტყვას: რასაცა გასცემს მარჯვენე შენი მარცხენამ არა უწყოდეს. და რასაც ქველმოქმედებდა, ანუ ვისმეს ეხმარებოდა—იმ პირობით, რომ არვისთვის გაემხილათ. დიდი მოყვარული და მფარველი იყო მწერლობა-ხელოვნებისა და ეს თვისი ნაანდერძევითაც ნათელ ჰყო.

როგორც მეუღლე, სამგალითოდ იყო მიჩნეული, როდესაც ქმარი შეირთო (დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი, ჯვარი დაიწერა 1880 წ. 22 ივნ. ბორჯომში, (სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ქართ დრამ. საზ. წესდება დამტკიცდა) მისიმარჯვენა ხელი და უმთავრესი შემწე შეიქმნა. დავითი და ეკატერინე ყოველგვარ სამრეწველო ანუ სხვა საზოგადო საქმეს ერთად განაპობდენ, შეთანხმებული რჩევით გადასწყვეტდენ და ისე გაეკეთებდენ. ჯვარი რო დაიწერეს, დავითის სამრეწველო საქმე მაინც და მაინც საიმისო დონეზე არ იდგა. ეკატერინემ, სამშობლო კერაზე ძველებურ-ქართულად აღზრდილმა, დიდი უნარი გამოიჩინა, თავისი მეუღლის ნამდვილი უღლის გამწევი შეიქმნა და ოჯახი ფეხზე დააყენა.

დავითის გარდაცვალების შემდეგ, ქმრისეულ სამრეწველო-საქარხნო საქმეებს სათავეში ჩაუდგა და წარმოება არა თუ შეეამცირა, გაასამკეცა. ყველგან და ყველაფერში თვითმონაწილეობდა საქმეს გონივრულად მართავდა,

ეკატერინემ თვისი ცხოვრებით ნათელ ჰყო დიდი შოთას სიბრძნე, რომ

ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდა ხვადია...

ხომ გაგიგონიათ, რიგიანმა დედაკაცმა დაქცეული ოჯახი ააგო, ურიგომ აშენებული დაიქცეა. სწორედ ასეთი —პირველი **გვარის —რიგიანი** დედაკაცი იყო განსვენებული, რომ თვისი ქმრის ოჯახი აამაღლა, გაძლიერა და სიკვდილის შემდეგ-კი ისეთი ანდერძი დასტოვა (იხ. შემდეგ ნომერში), რომ ქართველ ბედოვლათებისგან დანგრეული ჩვენი **საერო ოჯახი** აღსდგეს, განძლიერდეს...

როგორც გონება-განვითარებულმა, გონიერმა და შორსგამჭვრეტელმა ადამიანმა, ეკატერინემ მთელი თვისი დიდი ქონება (სამ მილიონამდე) ისე გაანაწილა, რომ მთელ ჩვენს ერს არგოს, უმეტესი წილი კი დაუტოვა ქ. შ. წ. კ. გ., ქართულ დრამატიულ, ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებათა და ქ. ქუთაისის თეატრის ასაგებათ. **გარდა** იმისა, რომ ამ უხვი შეწირულებით ამ საზოგადოებათ ნივთიერი სახსარი შემატა, სახელი და პატივიც განუძლიერა. დაე, სხვების სამაგალითოდ იყოს საქმენი მისნი..,

ამბობენ, ამ დიდებული ანდერძის დედაზარი დავითის ნაკარნახევიაო. მით უფრო დიდება და სახელი ეკატერინეს, რომ ქმრის გონივრული რჩევა საქმედ აქცია ერის საკეთილდღეოდ

ჩვენი ბრწყინვალე გვარის შთამომავალნი კნეინა-ქალბატონნი თუ მამა-პაპეული მამულ-დედულს ბანკებში ავირავებდენ ანუ უცხოელებზე ჰყიდდენ, რომ ერთი ღამის სამეჯლისო კაბა ჩაეცვათ—გაეპარპაშნათ, მოქალაქის ქალი და მოქალაქისავე ცოლი ეკატერინე-კი მომჭირნეობით ცხოვრობდა, სამდ-ღრეს თავს უყრიდა, რომ ბოლოს მთელი ერისთვის მიეძღვნა...

ჩვენი კნეინა-ქალბატონნი, სამშობლოზე გულაცრუებულნი, მამულ-დედულსა და ოჯახზე გაორგულებულნი შვილებ-მოძულებულნი თუ სიცოცხლეს მხოლოდ ფუქავატობაში ლევდენ დაჭლევენ,—ეკატერინემ მთელი თვისი არსებით შეიყვარა პატივ-აყრილი სამშობლო თვისი, ოჯახს უერთგულა, დღე-ღამ შრომაში განვლო და თუმცა განგებამ შვილი არ მისცა, ჩაკრულ თანამემამულეთა შვილნი იშვილა.

დიდ, ჩვენი საერო და სახალხო მგოსნები თუ **სიტყვით** გამოსთქვ მდენ:

ღმერთო, სამშობლო მიც-ცხლე
ტანჯულ ქართველი ერითაო,—
ანუ
ღმერთო მიეც ჩვენს ქვეყანას
ბედი და ბედნიერებაო,—

ეკატერინემ **საქმით** განამტკიცა ეს დიდი სურვილი...

ჩვენი კნეინა—ქალბატონთა უმეტესობა თუ მხოლოდ იმაში ხედავს ბედნიერებას, რა დაიხუროს, რა სჯამოს, ვინ გამოიბას ლეჩაქის წვეროზე ანუ მარმაშის კაბის ქობაზე, ეკატერინე მხოლოდ და მხოლოდ იმას ზრუნავდა—რანაირად გაეზარდნა ქონება, რომ ერს მეტი დარჩენოდა, ზეიმ ნადიმს თუ გამართავდა—მხოლოდ იმიტომ რო საერო-საქვეყნო საქმეებზე ელაპარაკნათ და ის დღე მიაჩნდა ბედნიერ დღედ, როცა კეთილ საქმეს ჰქმნიდა...

ჩვენი მეგატონე —კნეინა—ქალბატონნი თავისს სარჩო-საბადს, ადგილ-მამულებს უთ მეეტლე-მოურავთ აპმევენ და თვით არა იციან თვისი მამულ-დედულის შემოსავლისა, ეკატერინე თვით დასტრიალებდა თავს თვის საქმეს და ბოლოსაც თავი ამას გადაადგა: შეიტყოთუ არა, თბილისის სასახლე ჯარის საჭიროებისათვის უნდა ჩამოგართვანო, თვით ავ-დმყოფი გამოექანა, რომ სახლს მოპატრონებოდა, მაგრამ გზაში გარდიცვალა...

მისი სახლის კარი დაიხშა: იქ მეგობარი ქართველი ფეხს ვეღარ შესდგავს. მაგრამ სამაგიეროდ მთელი ქართველი ერის გული გაიღო და შიგ ჩაესვენა ნათელი სახე ამ სამაგალითო ქართველი ქალის ეკატერინესი და მისის მეუღლის დავითისა!..

დღეიდან ქართველი ერის გულში ესენი სტუმრები კი არა—უკვდავი მასპინძლები იქნებიან ..

ნეტარება შენ, ღირსეულო **დედა-ქაცი,** სამაგალითო ქართველო ქალო, რომ შენის კეთილის მოქმედებით ხელთუმქმნელი ძეგლი აგე თანამემამულეთა გულში.

რაღა მოკლავს შენ?

კუთხეულიმც იყოს ხსენება შენი!.

იოსებ არიმათიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ღამე

დარია ბებლედინისა

მარო და ვარლამი

(დასასრული იხ. თ. და ც." № 32)

ვიოლგოგბისთვე.

-- აი არაფრათ არ ვარგა რძე, ჯერ ადუღებული არ არის. რა ამბავია ეს? ცხარობდა ერთ დილას ვარლამი.

— ვარლამ შენა ჰყვირი? წამოელაპარაკა ამ დროს მეორე ოთახიდან მარო, რომელსაც ძილში ხმაურობა ჩაეწვეთა და გამოეღვიძა.

— ვყვირი რომელია? ჩვენსა არასოდეს არაფერი არ არის თავის დროზე ნზათ.

— დღეს შენს ხასიათზე ვერ ამდგარხარ და ყვირილი გინდა, თორემ ყველაფერი თავთავის დროზე არის ხოლმე.

— შენი პატრონი კარგ ხასიათზე არ ვიყო, რა გასაკვირალია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა მე ველარ გამოვიცვლები,—რაცა ვარ, ესა ვარ. თუ კარგათ არ მიცნობდი, რაზე მირთამდი?

ვარლამი მიხვდა, რომ გადააპარბა და ცოტა მოლბა, კილოს დაუშვა.

— ასე არ შეიძლება, მარო! ხომ იცი, მე დილით სამსახურში მიმეჩქარება?

— მერე მე რა ვქნა? ჩემი ბრალი ხომ არ არის ეგეც, რომ შენ სამსახურში მიგეჩქარება?

— რასაკვირველია, შენი ბრალიც არის. თუ მე სამსახურში არ ვიარე, ან შენ რა გარჩენს, ან მე!

— მე ნუ რაფერს მაბრალი სწორეთ. მე და შენ არც კი ვიცნობდით ერთმანეერთს, რომ შენ სამსახურში დადიოდი და ისევე ადრე დგებოდი დილით, როგორც ახლა.

— მაშინ უცოლო ვიყავი. დღეს კი მაქვს უფლება, მოვითხოვო, რომ დილით ჩემი ადგომის დროს ჩაი და ძეკ მზათ იყოს ხოლმე.

— ყოველთვის მზათ არის, მაგრამ ხანდა ხან რომ ცოტა დაგვიანდეს, რა ვუყოთ! ეს სად არ ხდება, მაგრამ ამის გულისათვის შენსავით აყალ-მაყალს ატეხა არავინ არ იცის.

ვარლამს პასუხი ალარ გაუცია.

— შენ რა გენადვლება, ჰფიქრობდა ის; ბრალი ჩემი, თორემ შენ შუადღემდე თბილ ლოგინში იგორავებ, მერე ამრძანდები და მიირთმევ გემოიანათ ყავას და კარაქს.

გულში ის ცოლის ბედს შენატროდა და ქმრისას კი სწყევლიდა.

თუმცა ჯერ დაგვიანებული არ იყო, მაგრამ ძრძისათვის ალარ მოუცდია, ერთი ჭიქა ჩაი დალია საჩქაროთ და გასწია.

— საიდან გამოჰყვა ასეთი ძძიმე ხასიათი? სულ უბრალო საქმეზე უნდა აეაეჯდანდეს ასი წლის ბებერივით! წაილაპარაკა მარომ, გადაბრუნდა მეორე გვერდზე და თვალები დახუჭა.

—ნუ თუ ყველა ცოლებსა სძინავს ჯერ კიდევ, როცა ქმრები სამსახურში მიდიან? ჰფიქრობდა გზაში ვარლამი.

თეგერვალი ვემდეგი ფალი.

როდესაც ვარლამი სამსახურიდან ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა, მარო სახლში არ დახვედრია; ბაზარში საქმე ჰქონოდა და იქ წასულიყო. ვარლამს გული მოსდიოდა, როდესაც ცოლი სახლში არ დაუხვდებოდა. მარო მხიარული, ცქრიალა ქალი იყო, საზოგადოება უყვარდა; ვარლამი კი იქვიანი გამოდგა.

ვარლამს შიოდა. გაიძრო თუ არა პალტო, მაგიდას მოუჯდა და მოხრდილი ლუკმა პურისა პირში ჩაიდვა.

— სადილი ჩქარა მოიტანე! დაუძახა მან მოსამსახურე გოგოს.—გოგო სამზარეულოში გავარდა, მაგრამ მზარეულს ჯერ წვენი არა ჰქონდა გადაწურული.

გულმოსულ ვარლამს თითო წამი თითო საათათ ეჩვენებოდა. მეორე ლუკმა კი გადაყლაპა და ველარ მოითმინა, წამოდგა ზეზე და მოსამსახურეს დაუყვირა:

— რა ღმერთი გაგიწყრათ? ახლა ამზადებთ სადილს?—ამ დროს ზარის ხმა გაისმა და მოსამსახურე კარის გასაღებათ გაიქცა.

— რა უყავი სადილი? დაუყვირა ვარლამმა

სუფს წურამს, ბატონო! მოისმა მოსამსახურის პასუხი.

— აი ჯანაბამდე გზა გქონდეთ ყველას! ჩაილაპარაკა ვარლამმა, სახეზედ წამოწითლდა და დაუწყო ცალიერ პურს და მარილს ჭამა.

მარო შემოვიდა.

— შენ კიდეც მოსულხარ, დამგვიანებია. ჩაილაპარაკა მან და შევიდა საწოლ ოთახში, პალტო გაიძრო, ქუდი მოიხადა, გამოვიდა, მაგიდას მიუჯდა.

— ეჰ, ცივა გარეთ! ამბობდა მარო და ხელებს იფშვნეტდა. ვარლამი ხმას არ იღებდა, განზე იყურებოდა. შემდეგ წამოდგა და კარებთან მივიდა.

— მოიტან თუ არა სადილს, შე ოხრის შვილო, შენა! დაუყვირა მან.

— რა დაგემართა? მეზობლებისა მაინც არა გრცხვენიან? წარმოსთქვა მარომ საყვედურის კილოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დამემართა! რა დამემართა! წამოიძახა ვარლამმა: კაცს მგელივითა მშია, დაღამდა ეს-ეს არის და ჯერ სადილი მზათ არ აოის შენც სადილობისას მოგინდება გასეირება.

მოსამსახურემ წვენი და სორცი ამოიტანა და შუაზე დადგა.

— არავითარი გასეირება არ მომდომებია, საქმე მქონდა და წავედი

— ყოველ საქმეს თავის დრო აქვს.

— თუნდა უდროვო დროს წავედი, მერე რა მოხდა?

— არაფერი არ მომხდარა, არაფერი! შენთვის სულ არაფერია. პირველ საათზე ყავა მიირთვი კარაქით; მერე წაბრძანდი სუფთა ჰაერის გადასაყლაპავად, ჩემს კუჭში კი დილას აქეთ არა ჩასულა.რა,—ცხარობდა ვარლამი.

— თუ ყავას მამადლოვებ, არ დავლევ. წარმოსთქვა მარომ: მხოლოდ ამ.ს კი გეტყვი, რომ მეტის მეტი უსამართლო და უხასიათო ხარ.

— რადგანაც შენს თაყვანის მცემლებს ყოველ საღამოს ვახშამს არ ვუმართავ, არა? წამოიძახა ვარლამმა.

— რას ლაპარაკობ, ვარლამ! ყოველისფერს სამზღვარი აქვს! წარმოსთქვა მარომ და გაოცებულის თვალებით შეაჩერდა.

— ჩემს მოთმინებასაც სამზღვარი აქვს! უპასახა ვარლამმა.

მთელი დღე ამის შემდეგ ცოლქმარს ერთმანერთისათვს ხმა აღარ გაუცია.

— ღმერთმა დასწყევლოს ცოლქმრობის მამგონ! ჰფიქრობდა ვარლამი და თავის კაბინეტში ბოლთასა სცემდა.

— იმ ქალს კი რა ვუთხრა, რომელიც გათხოვებას ინატრებს! ამბობდი გულში საკარძელში გაწოლილი მარო.

მაისი.

— შვილო, როგორ შეიძლება ამისთანა საქმე? ცოლქმარს შუა რომ წალაპარაკება არ მოხდეს, სად მომხდარა, მაგრამ ამის გულისათვის გაშორება სად გაგონილა! ეუბნებოდა მაროს დედა.

წალაპარაკება კი არა, დედაჩემო, ყოველ დღეს ჩხუბი, უკმაყოფილება სულ უბრალო საქმეზე, მუდამ იჭვიანობა! არა არა, აღარ შემიძლია, აღარ! წარმოსთქვა მარომ ხელების ქნევით.

— რა ვუყოთ შვილო! ადამიანი ყოველივის ხომ ერთ ხასიათზე არ იქნება? უნდა მოუთმინო.

— მეტი მოთმენა, დედაჩემო, აღარ შემიძლია. თუ სამსახურში არ არის, კიდევ არაფერი. თუ საქმეს აკეთებს, სულ აღრენილია, სულ ძარღვებ აშლილი.

— რა ვუყოთ, შვილო! სამაგიეროთ შენ უნდა შეუწყო ხელი, გამხიარულო.

— ბევრს ვეცადე, დედა ჩემო, მაგრამ ამაოთ, იმას ხასიათს ვერარავინ გამოუცვლის ხმა ვერავისათვის გაძიცია რომ ჭეკვი არ აიღოს! ეს აღარაფერს აღარა ჰგავს!

— უსათუოდ უნდა შეურიგდე შვილო, უსათუოთ. მარტო თავი მოგეკრება შენცა და მეც. აი ხვალ უქმე დღეა და წავიდეთ, შენებურათ მოუალერსე, მოუსიყვარულე და შერიგდით.

— არასოდეს, დედაჩემო, მე და იმისი ერთათ ცხოვრება ყოვლათ შეუძლებელია. გადაკრით უპასუხა მარომ.

—

ორი კვირის შემდეგ მარო ნაცნობ ვეკილთან იყო ქმართან განშორებაზე მოსალაპარაკებლათ.

ვ. ...

ამონაკვნები!

ოხ, ღმერთო ჩემო, რისთვის მარგუნე, მე ამ ტანჯვასთან დამეგობრება?!

დღეს ტანჯვის წუთებს განიცდის სული, მას დღე ნათელი არ აგონდება.

ბნელში შევსულვარ, ბნელით მოცული, და მზის სხივს ველი, მზე მენატრება..

ბ. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული ლამაზი

ეკატერინე ივ. სარაჯიშვილისა

ვის უნახავს თვალჩაუწვდენი ზღვა უსაზღვრო ანუ დედამიწის გაუვალი შუა გული,— ვინ ჩამოსთვლის რაოდენი საუნჯეა მათში დაცული!—

სწორედ ასეთი იყო ზღვა-გული ჩვენი დიდი ეკატერინესი.

გარეგნობით—მდიდარი მოაჯარადრის ქალი, მდიდარისავე მექარხნე-მრეწველის მეუღლე, კერძო მესაკუთრე ვის რა ეგონებოდა, თუ არა მხოლოდ თავის თავის მონა-მსახური?

განა თითქმის ყველა მექარხნე მდიდარი ასსა და ათასს კაცს იმიტომ არა ჰხრავს, რომ საკუთარი კეთილდღეობა მათს უბედურობაზე ააგოს, ოქროს ტომარად გარდაქმნილი კერპად დაგვესახოს, ერი და მისი საჭიროებანი ფეხქვეშ გაჰქელოს და თავის კუკის გარეთად სხვა არარა იწამოს?!

ერთის შეხედვით, თითქოს ეკატერინეც ისეთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა: ღვიძური მადლით გამთბარი გული თურმე მოყვასთა სიყვარულით უცემდა..

სკოცხლობდა მისთვის. რომ სამშობლოსა და თანამემამულეთა კეთილი სამსახურით დაეტკბო სული, გარდაიცვალა მისთვის, რომ უკვდავ ქმნილიყო...

ხუთი წლის წინად დაჰკარგა ქმარი—ოვისი ცხოვრების თანამგზავრი, თვისი მეორე **მე...**

და გული მისიც დაიკრძალა... ვარდ-ყვავილებით შეამკო სამარე ქმრისა, ხოლო მის გვერდით განამზადა თვის სასამარე. და მასაც ამკობდა ყვავილებით: მეც აქ ვმარხივარ, რაკი ჩემი დათიკო მოკვდა—მეც მოვკვდიო,— იტყოდა იგი.

ხშირად ურჩიეს:

— დავდგათ ძეგელი, რამე ქვაო!—მაგრამ იგი, ფრთა მოტეხილი ობოლი მტრედივით დაგვალული, აღმოიტყოდა:

— **ჩემს** დათიკოს ჩემის ხელით ქვას ვერ დავადებ... ოღონ **მოვკვდე**, დამკრძალეთ მას გვერდით და ორივეს **მხოლოდ ერთი ქვა** დაგვადეთ: ჩვენ **ორნი ერთი** ვიყავით და ასეცუნდა ვიქმნეთო...

ამას ამბობდა ნახევარ საუკუნეს გადაცილებული მანდილოსანი..

ნეტარება მისს უშრეტ სიყვარულს!..

სიყვარული მისი კიდევ უფრო უძირო იყო:

ვინ არის იგი, ერთხელ ენახოს, მასთან ერთხელ ემუსაიფნოს და მისი მაღალი სიყვარული—მოყვასთა სიყვარულის—შუქი დიადი არ მოჰფენოდეს?!.

მოყვასთ სიყვარულით სულგანათლებულმა, მდიდართ მდიდარმა სიკვდილის კარს ესლა ინატრა: ნუ დამკრძალავთ დიდრაჯულად: არ ვსაჭიროებ არცა გვირგვინთ, არც დიდ ძეგლს,— ბევრი არ დამახარჯოთ, და ქონება ჩემი ჩემსა ერსა გაუბოძეთო..

სიყვარულის მომფენი ლაჰარი მინელდა, მაგრამ ისე-კი, რომ საუკუნოდ, ჟამით-ჟამამდე გაა შუქებს...

სულო ლამაზო! იცხოვლე მარად, რათა შენგან მუდამ ვისწავლოთ **როგორ გვიყვარდეს**, რომ ჩვენც შეგვიყვარონ....

იოსებ იმედაშვილი

მოკვარული სიყვარული.

ჩვენ დავშორდით ერთმანეთსა უსიტყვოდ და უსალამოდ,
დაგიმალე, არ გითხარი, რომ მივდივარ სამუდამოდ.
სულერთია! ხომ არ იცი რა ხარ ჩემთვის, მომლიმარო,
ვერც გაიგებ! ვერც გაიგებ! ეს გულია ღრმა მაღარო.
განშორებამ ვერ ჩამიკლა ტკბილი გრძნობა, სიყვარული,
მე არა გთხოვ არაფერსა, მე არ მინდა სიბრაული —
ცას შეხედე: მზე, ვარსკვლავნი, მთვარე ნაზი—მოკამკამე,
ყველასია ვინც რო ჰხედავს, ვინც შეჰხარის დღე დ. ღამე.
შენც მნათობებს მიგათვალე, ყველასი ხარ მომცინარე.—
და თუ შორს ვარ მაინც გხედავ!

აი, როგორ შეგიყვარე!...

მარიჯან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორუპოვარი მეუღლენი

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი და მეუღლე მისი ეკატერინე ივანე ფორაქაშვილის ასული. (1882 წ. გადაღებული)

ფერი ფერსა—მადლი ღმერთსაო ჩვენს ხალხს რომ უთქვამს, სწორედ განსვენებულ მეუღლეთა დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებზეა გამოპორილი.

რა მხრით აიღებთ, რომ ერთი მეორის სწორი და ტოლი არ ყოფილიყოს: პრაკტიული საქმიანობით, გამჭრიახობით, დიდი საქმის უნარიანი მოვლით, იდეური ქველ-მოქმედობით, სამშობლო ქვეყნის განუსაზღვველი და შეგნებული სიყვარულით!...

მამულიშვილობა და მოქალაქეობა,—აი რა იდეას ემსახურებოდენ შეგნებით განსვენებულნი...

ჩვენი ბრწყინვალე წოდების დიდმა უმეტესობამ მამა-პაპეული ადგილ—მამული გაფლანგა, სამშობლო დაამხო სულიერად და ნივთიერად, განსვენებულმა სწორუპოვარმა მეუღლეებმა კი მთელი თვისი კეთილი შენაძენი ქონება, სამს მილიონამდე, ერს დაუტოვეს...

უძენოთი იყვნენ, მაგრამ ვინ მოსთვლის *რამდენი სასარგებლო ნიჭიერი, წევრი აღუ*ზარდეს სამშობლო ქვეყანას და მათგან დანატოვარი კიდევ რამდენ ასს სასარგებლო კაცს გაზრდის!...

ნათელი სულის პატრონნი იყვნენ ეს ღირსეული მეუღლენი და ნათელი საქმეებითაც გააშუქეს თვისი აწმყო და მომავალი.

მათი ხსენება გაუკრობელ სანთლად იპარპალებს ყოველი ქართველისა და არა ქართველის გულში!..

ექიმი შტოკმანი.



დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი,

სახელგანთქმული მოღვაწე-მრეწველი, კომერციის სოვეტნიკი, უხვი ქველმოქმედი, გარდაიცვალა 1911 წ.

***

სულმნათნო, მადლი თქვენს გამჩენს
დიდება ერსა—თქვენს მშობელს
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარ ხსენება ამ სოფელს.

(აკაკი-ს ლექსიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მზის საიდუმლო“

(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 32)

ფარ. მერე რა ნახე?

1 შიკ. ძროწლა და შიში! ყველგან ღმერთებს მსხვერპლსა უძღვნიან და მოწყალებას შეჰლაღადიან. ოხვრა და ლაღადს აუვსია მთელი ქვეყანა; მაგრამ ამაოდ! იმათ არ ძალ-უძთ გააქარწყლონ დედა-მიწას რომ უკუნეთი ზედ დასწოლია. ადამიანებს უბიწოებს ყველგან ვეძებდი. ჭაბუკთ და ქალწულთ ვეკრეტდი ყოველგან, მაგრამ ამაოდ, ვერ ვხედავდი უნგარო მათ სიყვარულსა. და მხოლოდ ერთხელ გავიფიქრე: თუ მართლა ამბობს მოხუცი ვარსკვლავთმრიცხველი, მაშინ მზესაც დავინახავდით.

ფარ. მერე რა ნახე?

1 შიკ. მსაჯული წინ, მოედანზე იდგა მონათ ბრბო გარს ეხვია. ორნი ბატონს გამოჰქცეოდნენ და ეს შეეპყროთ. გარს ხალხი ღელავდა, ჯოხებით და მუშტით ემუქრებოდნენ. მოსამართლისგან მოითხოვდნენ მკაცრ განაჩენსა, მაგრამ მშვიდ იყო სახე მონისა. იგი ალერსით და ღიმილით უყურებდა ხალხს; ჰგავდა, თითქოს თვალნი მისნი ეძებდნენ ვისმე. და უთხრა იმას მსაჯულმა: ეჩვენებინა ამხანაგი მასთან ერთად რომ გამოიქცა.—„და ამისთვის დავივიწყებთ შენს დანაშაულს.“—„არა“—მონამ მოკლედ მოუჭრა და გარშემო მიმოიხედა. მსაჯული კი განაგრძობდა: „ერთ ბღუჯა ოქროს გაჩუქებენ, მდიდრად იქცევი, ოღონდ გვიჩვენე, მიგვითითე შენს ამხანაგზე.— და ისევ ნელად გაისმა ხმა:—„არა“! ბრბო კი შეინძრა, ბოროტმა გმინვამ ვითა ქარმა ზედ გადღურბინა; მოსამართლემ მესამეთ უთხრა: „თავისუფლებას საუკუნოს ჯილდოთ მიიღებ, ოღონდ გვითხარი ამხანაგი სად არის შენი. მაგრამ უჩუმრათ გაიცინა, მძლავრი თავი მიმოიქნია და მესამეჯერ უთხრა მონამ:—„,,,არა...—როგორი გულუბრყვილო ხართ! სხვის მონობით და მწუხარებით არ შეიძლება რომ იყიდოთ თავისუფლება.“ როგორც კი ეს თქვა, ღრუბლები შუა გაიყვნენ, თამაშდნენ სხივები მზისა. ყველა ისე ძლიერ აღელვებულნი იყვნენ, რომ არავის არ დაუნახავს; მხოლოდ მე ვნახე სუსტი სხივი და დავდუმდი მოლოდინშია. როგორც საშინელს გრგვინისა დროს, ზღვა ქუხს და ღელავს, ისე ღელავდა, გრიალებდა შეყრილი ხალხი: „როგორ“?! უმგზავსი მონა როგორ გვიბეღავს, ჩვენ გვასწავლის?! სიკვდილი მაგას!!! ჩამოხრჩობა!!!“ და დამუქრებით უთვალავი გაწვდილი მუშტი ჰაერს ეპობდა. უცბად მონისა პირისახე მთლად მოიღუშა; მთელის ძალ-ღონით გაიწია წინ და გაფითრებულ მის ტუჩებსა მოსწყდა ყვირილი, ყვირილი კი არა, გმინვა სულისა: „როგორ, შენც, შენც თხოულობ ჩემს ჩამოხრჩობას?! შენ, ჩემი ამხანაგი, თანაზიარი?!.“ და ბოროტებით ანთებულმა, ასწია თავი მედიდურათ და საშინლად დაიღრიალა; ბრბოს ყვირილსა გადაეჯარა:»—არავისი აღარა მჯერა. დაინახეთ —აი, ეს არის!“ მიუთითა ბრბოში ერთ-ერთზე. და მომეჩვენა, რომ დაბნელდა, ჩაქრა ის სხივი... იგი მეორე დაიპირეს. (რიგი შეკრიკი ათვალეს, მსმენელებს შორის გუგუნი გასმის)

1-კარ. კაც. უცნაური შემთხვევა არის.

ფარ. ეგ არის მხოლოდ?

1 შიკ. მხოლოდ.

ფარ. შეგიძლიან უკვე წახვიდე [1-დი შეკრიკი კიდის ბანისკენ)

1-კა-კაც. ვერ გავიგე მისი ზღაპარი. რატომ გასცა იმა პირველმა?

ფარ. (ხაფანგებულდი) მე გავიგე... ვძრწი... წინათგრძნობანი მეხვევიან, გულს მიხუთავენ და განვიცდი სამარისებურ სიცივესა, სიცალიერეს (ბუზს) დაუძახეთ ახლა მეორეს. (პირველ კარის კაცი კიდის მარჯვნივ და მაშინვე ბრუნდება მეორე შეკრიკთაური. იმასაც როგორც პირველ შეკრიკს, ისე ეტყვის)

2-შიკრიკი—დიდებულს მეფეს უმდაბლესი ჩემი სალამი. ალმოსავლისკენ მიმართული იყო გზა ჩემი და სუყოველგან ვეძიებდი სიყვარულსა, უანგარო ადამიანებს. მაგრამ ამაოდ. ვერსად ვნახე. ყველგან ცარცვა, ძალმომრეობა, გარყვნილებაა. მეფობს სიცრუე, მოტყუება და თვით შიშიც კი ადამიანებს ვერ უნერგავს სიკეთის გრძნობას.

ფარ.—არ შეიძლება მთელ მხარეში ვერ მოიძებნოს თუნდაც ორი ერთმანეთის მოსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარულე. არ შეიძლება, ორნი მაინც ვერსად ვიპოვოთ, რომ ცხოვრობდენ უანგაროთ და წმინდის სულით. თქვენა სცრუობთ; მაშ სად არიან ის ქაბუკნი და ქალწულნი, რომელთაც უყვართ უანგაროთ, უყვართ სინაზით და ისეთი წმინდა გრძნობებით, ვით გამსკვერვალე მოციმცე ალმასის თვალი.

2 შიკ. მაგნაირებს არ შევხვედრივარ. ბევრს გაუბი მე საუბარი, ბევრიც დიდათ დავიმეგობრე, მაგრამ ბოლოს კი ანგარება და ქვენაგრძნობა სუყოველგან წინ მიხვდებოდა.

ფარ. მაშ რადარიან სულით მართალნი?

2-შიკ. (დარხვენდა) სწორედ მაგას მეც ვკითხულობდი... მაგრამ მითხრეს...

ფარ. რაო, რა გითხრეს?

2-შიკ. (ჩუმად)—რომ იგინი გარდაიცვალნენ. (ბუზს)

ფარ. გასწი. მე აღარ გიპერ. (2-შიკრიკი კარის. ეკვდა სდუმს) თქვენ რას გაჩუმდით?! ან იქნება მზაკვრობა რამ ჩაიფიქრეთვინ?.. მე გიცნობთ თქვენა! ცრუ მორწმუნე და მშიშრები ხართ! პირმოთხენი, ქვეშქვეშა და საცოდავები! და ყველა სულელს თქვენ მზათა ხართ რომ დაუჯერეთ. (ეკვრის) მე კი არ მჯერა!!! და მშვიდათა ვარ. და მშვიდათა ვარ მხიარული, როგორც ყოველთვის. მიქარვაა სუყველაფერი!!! მსურს ზღაპარი ისევ განაგრძონ!

ელოე. მე მზათ გახლავარ... (ჩანგის ჭანგებზე დეკლამაციით ამბობს)—ცა მოიღუშა... ვარსკვლავები ალერსიანად ციმციმებდნენ ზეცის სივრცეში. ჩადგა ნიავი—(შეშოდის სიჩქარით 3-ში ბიჭიკი. მშვენიერი ჯაბეკი, რა დაინახავს ედოეს, სიჩქარით შესდგება კაკვირვებულად ედოე ოდნავ კასაგონაა) ახ...

ფარ. (წამოდგება და ბიკრიკს) ვინ გეძახოდა? (ედოეს) რა შუაშია შენი შეკრთომა?.. რისთვის შეჩერდი?

3 შიკ. ბიმიტევე. მეგონა, მეც მომისმენდი. შევკრთი-კი მიტომ,რომ ზღაპარი შეგაწყვეტინეთ. (ედოეს შეჭვურებს ჩუმად) იგია უეჭველად, ელოე არის!

ფარ. გასწი, შენ მერე დაგიძახებ (3-შიკრიკი ედოეს შეჭვურებს და არ იძერებს) გასწი, მე შენ გიბძანებ.

3 შიკ. აი. მივდივარ, ხელმწიფეო. (ნედა კარის)

ფარ. რას ნიშნავს მისი შემოხედვა? (ედოეს) შენ შემკრთალი ხარ და შესწყვიტე შენი ზღაპარი. რასა ნიშნავს სუყველაფერი?

ელოე (თავისთვის) ..არ შეიძლება, რომ **ის, იგი** არ იყოს!.. (ფარაზას) მისმა მოსვლამ უცაბედმა შემაკრთო, მეფევ, და შევსწყვიტე ზღაპარი ჩემი. თუ ინებებ, სწრაფლ გავაგრძელებ?

ფარ. კმარა ჯერ ხანათ... უფრო და უფრო სიძლიერით მეხუთვის სული.

ფარდა ახადეთ, გაიხედეთ ხომ არა მოსჩანს საიდგანმე შუქი სხივისა. (რამდენიმე კაცი მიარბენს და ფარდას კაკანსკენ. შუქნეთია გაშეფეფული. ერუ ქუხდა მოისმის)

1-კ.კაცი არაფერი სჩანს.

ფარ. (მოდუშეთ) კარგი! ფინეიციდან მოსულს ვარსკვლავთმრიცხველსა დამიძახეთ. (ედოეს ახდის ჯდება. მანა კაკის მარჯვნივ)

ელოე. მითხარ ვინ არის იგი ქაბუკი? და ან რა ჰქვიან?

ფარაო. რისთვის გეკირდება მისი სახელი? უწნი იგი ჩვენი ტყვე იყო, ახლა უბრალო მეომარია.

ელოე უცხოელია?

ფარ. (ოქოო) დღესვე გავამგზავრებ მას. საეკვო არის.

(შეშოდის კარსკვლავთმრიცხველი)

ვარსკ-მრიცხ. შენ მომიწოდე?

ფარო. მინდოდა მეთქვა შენთვის, რომ ყველაფერი მოიცრუე. მე ბიკრიკებმა მომახსენეს, რომ გზაში იმათ ბევრი ნახეს ■ ■ ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლ-მრიცხვ. მე მგონია, რომ სულ მალე მზეს დავინახავთ.

ფარ. სტყუი, ბებერო!

ვარსკვ-მრიც—(დაშშვიდებული) დავინახავ მე და არა შენა!

ფარ.—(ნერგიულად წამოდგება) შენ ბუნდოვანათ ლაპარაკობ—პირის-პირ მინდა მოგისმინო. წადით ყველანი (ედოეს) და შენ კი დარჩი, დასამალავი შენს წინაშე არაფერი მაქვს. (უკუდა კედის) აბა, „დაიწყე ჯადოსანო."

ვარსკვ—მრიც— (მხრებს აიჩეჩავს) ყველაფერი ვსთქვი, მე მგონია, რომ იმ ქაბუკმა მოგვიტანა მზისა სხივები. ნათელია მის პირის სახე, გული მისი სიხარულით სძგერს. რასაც ეძებდა ასე დიდხანს, უკვე იპოვა და დიადი რომ ღვაწლისათვის იგი მზათ არის. (მიაშტერდება ფარაოს) მაგრამ შენ... შენ არა ხარ მზათ და შენი სული შეხუთულია... მეშინიან, მზეს ვერ იხილავ...

ფარ. თუ დავინახავ ისევ მე, ან და არავინ

ვარსკვლ-მრიცხ. არავინ არის თვის საქმეში თავისუფალი, (ედოეს) შენ კი ლამაზო მოგილოცავ ახალს ცხოვრებას.

ელოე. მითხარ ვინ არის ის ქაბუკი?

ვარს-მრიცხვ. ჩქარა გაიგებ.

ფარ (აწვეთ შესტკერის ედოეს) და შენ, შენც ელი სჩანს ჩემს სიკვდილსა?! მაგრამ გიჩვენებთ რომ ჯერ კიდევ ხელმწიფე მე ვარ! გამოძიებას თვით მე მოვახდენ და ვიი იმას, თუ რაიმე დამიშალა! აბა წადიდეთ!

ელოე. ოი, ღმერთებო, დაიფარეთ მისი სიცოცხლე. (ოთიე მარჯვნივ კედიან)

ელო ანდრონიკაშვილი

(დასასრული იქნება)

დეკლამაცია

ჩვენი დღევანდელი ვითარება საკრთოდ ხელოვნებას და კერძოდ თეატრალურ ხელოვნებას საპატიო როლს ანიჭებს. დღეს ყველამ შეიგნო, რომ თეატრი, ეს ხალხის სულის სარკე, თავის ფარგლებში თამაქმის ყოველივეს იქტვეს და ამით ხალხთა კონტაქტში საკმაოდრიო იდეალებს ფართო ტერასას უმართავს.

დეკლამაციაც ერთი დარგია ამ თეატრალურ ხელოვნებისა. მართალია თავისი შინაარსით ეს არ არის რაიმე საბერძნის ფოკუსი, მაგრამ ეკუმარტი ფარგლებით წარმოდგენილი დეკლამაცია იმავე დროს მასწავლებელია, შემტნობია რაიმე შინაარსისა, რომლის უბრალოდ წაკითხვა თავის მნიშვნელობას უკარგავს და ჯერ ხელნელ რაშედ ისახება. შინაარსის მხიდვების კარდა, დეკლამაცია კაცთა გულს ეფაქიზებს; ეტეუარი დეკლამაციის სმენა-ტქერა ადამიანს სიტკბობას კანაცდეგენებს და ერთგვარ კანეთარების საეუხურზედ აეენებს.

აი, სწორედ ამისათვის კანეიზრახეთ შეძლებისა დაკვარად კადმოკეთ ამ ხელოვნებისა— დეკლამაციის მეოდნეთა აზრი შესახებ ამ ეგვ ხელოვნებისა, რომლის ტხალეუოფელად ჩვენი ერის შეიდნიც ხშირად სცენის რამპას ესტუმრებიან, მაკრამ დიდი უმრავლესობა დეკლამაციის დიად დანაშუნეულებს ოდნავადაც ვერ ადწევს.

„მოქმედება მეგორეტხდი, მოქმედება მეედმოვი, აი ძირითადი კანონი სცენიერი კითხვისა... და ამ მენეგბის თავის ნაფეიერს უმატებს ტნობიდი დებე, რომელიც ამბობს: „დეკლამაცია არის ერთი დარგი მეტეეგელებისა, რომელიც ხმის მრავალფეერიან ინტონაციის ძალით, სხვა და სხვა კგარ კანეტდეს კგვარეძრნობანებს და სტდადობს ეს ერძნობა ხალხის გულში კანიტანოს". მართალია და რა უნდა იეკვეს ისეთი ან წაკითხული ან წარმოთქმული, რომელიც ად მიანის გულში კგალს არ დასტოეკებს?!. უბრალო ფრაზაც კი ხშირად, კარგის გამოთქმით, რადაც დრმა მენეგბად ისახება და შინაარსს მეტ დარსებას ანიჭებს. ასეთ კგვარად კამოთქმისთვის კი საჭერია ტოდნა ამ კამოთქმისა. და თუ კგინდა ამის მივალწიოთ, მაშინ მოუსმინოთ უფროს-კოკერნს: „უადრესი ბედნიერება მკითხველისა არსებობს ამაში, რომ მსმენელს სრულიად დაკარწეოს საკუთარი არსება და უბრალტესობა საკითხვე საკანს მიანიჭებინოს. რამდენადაც მეტად ივიწეკებენ თვით მკითხველს, იმდენად მეტად იკორებენ მაშინ, რომელსაც კითხვს კაუთვალსო". აქედან უნდა კამოვიტანოთ ის, რომ მკითხველი არ უნდა ტდიდობდეს თა-

ვის პირველების გაზვიადებით წარმოდგენას, მის ფიქრს მხოლოდ სიკვნის ეოველ-მხრივი გადმოცემა უნდა იმეორობდეს, ამისთვის კი, ე. ლეგუვეს აზრით, „სიკვნრა წკეთხვა ისე, როგორც ვდაპარაკობთ.“ ივივე ე. ლეგუვეს ამბობს: „არ უნდა დიაწეოთ კეთხვა მაშინთვე, რადგან ეს ასზოგადებას წინ გაპოხნდებით, ასრმედ უნდა ამ ასზოგადებას ჯერ სუფთა ხორცამდე შეუერთოდეთ და თავდოსულეთან შეუწეთ... შემდეგ ამისა, მკითხველის პირველი ვადებუდებაა, დასაწეისში დრმად ჩასუნთქოს ისე, რომ ფიდტვები ავსებით ეამსოს, შემდეგ-კი აწეებს უფრო ძნელი სიქმე: ხარჯვა სუფთა,— ამ ჩასასუნთქისა. კარგი მკითხველი მეორედ ჩასუნთქავს მანამ, სანამ ადრე ჩასუნთქეული ჭეარი სულ დაეტდებოდეს; და რომ მაეურებელმა ეს ხმარი ჩასუნთქვა ვერ შეამჩნიოს და კეთხვაც არ შეაწედეს, სიკვნრა ჩასუნთქვა ხმოვან ასოების: ა. ე. ი. ო. ს წინ, რადგან ამ დროს პირის კაღებაა სიკვნრა“-ო...

ბევრი ჩვენთაგანი კი ასე არ იქცევა. მრავალჯერ შეასწრებიავრ ამ შემთხვევაში, რომ მკითხველს სტრაქონების ბოდი ნაწილები სრულიად ვერ გაუგებინებია. ეს სწორედ იმისთვის, რომ ჭეარი დაჭვლეთ უადგილოდ და შეგრეანკი სიქმეს წაანდენდა, მაგრამ მაინც ეფნობი რჩებოდა, რადგან სიტყვებს ვერ ეარჩევდი.

დეკლამაციის მშვენერებამდის მისაღწეეულ გამოთქმის უმეეურვალესად განსაკეთირებულად დიდი დაკვირვებაა სიკვნრა. როგორც სხვა დრმს, ისე ამისთვისაც მარტო დექსის კანონებრვა და ტიკად თქმა არა კმარა. სიკვნრა შეეგნება, განეკვრეტა იმის, თუ რა მარხაა სიოქმელში, თუ რას გეასწავლის დამწერი. და თუ კეთნან ეოვედეეე ეს ტანადეეეთ და მშვენერებით შეეემოსოთ, უნდა „ეგზიერი ზომიერეს და ზომიერი ეგზიერეა“ ვიხმართ. დეკლამაციისთვის რომ ეს თეზისი დიდ სიკვნრაეს წარმოადგენს, დასამაწმებლად მოგეეგან მსოფლიო მეწერალს ვიოტეს. ეი, რას ამბობს ერთ თავის ნაწარმოში: „გამოთქმის, წარმოთქმის უზენაესობამდე მისაღწეეველ სიკვნრა მეკითხველმა-მოქმელმა რაც შეიძლება დინჯად დიაწეოს. დასაწეისში, რამდენადაც მოგრცხდება, ტონი უნდა დეეშეას, შემდეგ კი ნელ-ნელა ეაწეოს; ასე მოქცეეთ მარცხვალი იდეის ფეროვა-კარკვეულ მოხაზულობას, და ეოვეელგვარი სიტყვათა ცვალიდებაც, შინაარსის საკვირველებისთვის, ადვილი მოსაგრეხეელია.. წინასწარმეტყველ, მაღალის ხმით დაწეებით, მოქმელი დაბალ ტონისაკენ გაკაკვეეეა, ვაკვაცობის სიმტკიცეს ჭკვრკვის და შემდეგ უფრო მალალის, უფრო სულ ჩაგეეფალი დეკოვებრივობის გადმოსაცემად შეეძენლობის ფარგლებში მოაქცეეთ“..

ეოვეელიეე ეს ეტეეეარად ეგასწავლის იმას, თუ როგორ უნდა იქმნას ნათქვამ-წაკითხული. მაგრამ არა ნაკლების მნიშვნელობისაა ის, თუ რა, ან რაგვარი ნაწარმოების წკეთხვაა საკვირველი. ამის შესახებ ბეერგვარი აზრის გამოთქმა შეაძლებს ეს-კი ცხადია, რომ თუ არჩეეის დრმს ეოვეელგვარად შემეულ ნაწარმოების ამოგარჩეეეეთ, მეტის ქებაით შეეემოსებთ, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, ზუნარად ამ ეოვეელმხრივი დარსებით ადეკეურველი ნაწარმოებიც-კი ვერ არის ხალმეე საოთანადოდ მოსმენილი.

სწორედ ამ კარგმოებს ნ. ვ. კორეეკი („ოვეეეოლობა“) დიდ ეურადღებას აქცეეს და ასეთეგვარი შემთხვევისაგან თავის დასაღწეეად, ეგასწავლის: „ეოვეელი მსახობი უფრო მეტს მოიგეებს, თუ წასაკეთებად აიარჩეეს ავტორთა ისეთ ნაწარმოებს, რომელიც საზოგადოებისთვის მეგარედ ცნობილია; და უფრო კარგია, თუ სრულიად უცნობი იქმნება... თავი წასაკეთებელ რადგენობას ეურადღება არ უნდა მიექცეს... რითმს უნდა დაეთმას სათანადო ადგილი, ხოლო კი არ უნდა დაეგემარნალოთ მას... ეოვეელ შეეძენეელია კეთხვის დრმს შეჩერება სტრაქონების მიხედვით და, ამით, თავთ შინაარსის დარღვეეეა—იქნება დექსი იგი რითმებიანი თუ ურითმოთ“...

ეს რიგნეთ მეგრე ეიტერატენი ძალიან ბეეერ რასმეს ეგასწავლის. ეოვეელიეე ამის შეთვისება დიდი

რისეენა მიმნიშეეელია. და თუ ამის მიდწეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მოლვაწენი

სცენის მოყვარე ნაპოლეონი

ჩემი მოდგაწე, —რა სასმო მოსსენია! ეს სიტყვები მადამოსსაფთ ეტყობა გულს, სიტოცხლეს გიორკეტებს, ენერგიას გმატებს და უფრო მეტის მხნეობით გიწევენ სამოქმედოთ. როგა გესმის ან საკუთარი თვალით ხედავ ადამიანებს, რომელთაც არ იტანენ არც სიმდიდრე, არც სახელის მოხვეჭა და სრულთა ძალ დაუტანებლად, ჩემთა ემსახურებიან საყვარელ სახალხო საქმეს, შენც ძალდონე გეშატება და გულს სხეი გეფინება.

თუ დღეგანდელ ჯოჯოხეთურ პირობათა გამო საზოგადოდ ძნელია საზოგადო საქმეს გეოეა, ეს უფრო ძნელია სოფლათ ვინც დრმთა ჩუეეირდეგა დაბა-სოფლის ცხოვრეგის, იმის თვალწინ წარმოუდეგეს ერთი უშეედებელი ყოროდებული ტბა, სადაც მრავალად მოუერიათ თავი ოთსნაირ მავნე მწერებს. სოფელი — ვრძნობიერი ადამიანისთვის ტოტსდთა ესაფლასა, იქ დიდი უმეტესობა გაღვეგარეგის გზას დასდგომია, შესმაგს და ხრწნის ასად თაობას. ერთმანერთის სამარის თხრა, გაუტანლობა, მაბეზღრობა (დანიანების წერა), ტრუბორწმენობა, დოთობა, ორშეოობა, — ეი მუდმივი საქმიანობა პროგინციის ინტელიგენციისა. საწყუსრად მთის ფერხულში ებმეგიან ისეთნი პიროვნებანი, რომელთაც თავზე მწვანე ქუდები დაუსურავთ. ამათი თავი მოაქვთ და სტუდენტობთ ამაყობენ, სოფლის ჭირ-ვარამი კი ოდესეთაც არ აწუხებთ და თავიანთ სიტოცხლეს ფუქსავატ დაზღვნდარობასა და ორშეობაში ატარებენ, ქმნიან ატმოსფერას, რომელთაც ადამიანს გონება უშსამეს, სული ეხუთეს,

ეი, ასეთ პირობებში ჩამდგარი ადამიანი, რომელიც შორსა სდგას კეთეგეგრეულ ინტელიგენციისგან და მუდამ სიკეთისთვინ და სახალხო საქმისთვინ ზრუნავს, ერთიათად ძვირფასია.

ასეთ პირობენაგ მეგვანნია ჩვენ ნაპოდეონი, სასოფლო სახალხო სცენის ერთი დაუზარეული მუშაკთაგანი.

ეთი წელიწადია, რაც იგი ქართულ თეატრს ემსახურება პროგინციაში (ყურ თელავში, ახლა ვედის ტიხეში) და შესაფერი სიყვარულიც დაემსახურა ხალხში, თავისი ნიჭით, მუეაითობით და სცენის უანგარო სამსახურით. მას თითქმის მუდამ ადტანებში მოუეგანია მაეურებელი.

სცენა მისი სული და გულია, ის ბუნებით ხელოვანია, რომელსაც მუდამ სცენაზე ყოფნა უნდა, მაგრამ ერადგანაც ამსახიგებს ვერ შიულმის, მასაც ნაკლებად უხდება სცენაზე გამოსვლა. ვერ წარმოიდგენთ მის სიხარულს როგა პირეველთა ეტეეთ:

— ნაპოდეონ, წარმოდგენას გაპირებთ და და მზათ იყავთო. მაშინვე სახე გაუბრწყინდება და ადტანებით მოგაძახებთ:

— ჰა, ჩქარა, რადეს უეურებთო. ნაპოდეონის გვარი ბეეერმა არ იცის და არც თითონ ცდილობს ვისმეს დიდათ მოაზეგნოს თავი. ის ხალ, ხის შვილია (ზანეგრის ხეგნტია) და განსაკეთრებით სახალხური წარმოდგენების მართვა ეეეარს.

ესურვეთო წინ სვლასა.

სოსო მაჭავარიანი

გლეხთა ნერილები

წერილი წინარეხიდან.

წინა დროში ჩვენ გლეხობასაც კარგად ახსოვდა ჩვენებური ხალხური ანდაზა: კაცი უნდა ხერხი იყოს — გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, განა კაცი ეჭო არის — სულ თავისკენ მიითელიდესო, ახლა სულ სხვა ანდაზას მისდევენ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო, და იმას-კი არ დაგიდევენ, თუ ამნაირი საქციელით სოფელ-ქვეყანას, მეზობლებს რა ნაგნეობას აძლევენ!

აი, ერთი მაგალითი: ამ წინაზე გორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზრის სოფელ წინა-რეხში მცხოვრებმა გლეხმა ესტატე ქეშელაშვილმა გადათხარა თამარ მეფის-მიერ გაკეთებული ნიადაგი რუსხმული, სიგრძით 349 საჟენი, ამის გამო ურწყავად დარჩება 27 დესეტინა სასოფლო მამული და ხალხი იზარალებს. ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ის გადათხრილი რუსხმულიც სასოფლოა, ესტატე ქეშელაშვილის ნაფლის გვერდზე. ამიტომაც მოინდომა ქეშელაშვილმა თავისი ნაფლის გამატება სოფლის საზიანოდ. მეორე: ამავე ქეშელაშვილმა წისქვილის რუში ჩაყარა ნერგეულობა, რუ შეავიწროვა, თითქმის შესწყვიტა წყალი და ოთხი თვალიდან ერთი თვალი ძლივს-ღა მუშაობს. მესამე: ამავე ქეშელაშვილმა მოაშალა სოფლის რუ, სამაგიეროდ დაფარდოვებულ კლდეზე გაიყვანა არხი, საცა ოდნავ გადის წყალი, ხეხი-კი სწუხდება, მაგრამ ქეშელაშვილი ამას არ დაგიდევს...

ქეშელაშვილმა იცის, რომ მოსამართლენი ყურწაყრუებულნი არიან, ხოლო ხალხის დიდი ნაწილი-კი ბრძოლის ველზეა და იგიც, სანამ დროა, ეჩოსავით სულ თავისკენ ითელის...

ნუ თუ სოფელი ასე უპატრონოა?

გლეხი გიორგი მერაბაშვილი



ახალ-სენაკის დრამატიულმა სახოგადოებამ, რომელიც ერთი წლის წინად დაარსდა, როგორც იქნა, მოკმედება დაიწყო და ამაშიაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ძმ. სანიკიძეთა, რომელთაც სათეატრო დარბაზი ეაგეს (თუმცა ჯერ კიდევ სასურველად მოწყობილი არ არის) და მით საშუალება მისცეს ახალ-სენაკის სცენის მოყვარეთ წარმოდგენების გამართვა ეკისრათ, აქვე უნდა მივიხსენოთო, რომ ახ.-სენ. დრამ სახ. გამგეობის მოქმედების უფლება უკვე დაკარგული ჰქონდა, რისთვისაც ხელახალი ნებართვის მოპოება ეჭირებეა, რასაც ბეჯითად შეუდგა. გამგეობამ სამუშაოდ მოიწვია ძველი და ახალი სცენის მოყვარენითბილისადან საგანგებოდ მოიპატიჟა დამსახურებულ ლი მსახიობი ვალ. გუნია და პირველი წარმოდგენა გამართა 27 მკათათვეს. (წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა"). სამწუხაროდ წვრილმანმა დასობანმ აქაც იჩინა თ.ვი: ზოგიერთი ვაუბატონი ცდილობდა ხელი შეეშალა ვ. გუნიას მოწვევისთვის—როგოც პოლიტიკურ არა, თანამოაზრისთვის, მაგრამ საბედნიერად საზოგადოება ამათ განგაშს არ აჰყვა, წარმოდგენას მრავლად დაესწრო და ამ კეთნის შვილს—დამსახურებულ მსახიობ-სტუმარს ზეიმი გაუმართა. საღამო მართლაც სადღესასწაულო იყო: მსახიობს თაიგულებით და ვაშათი შეეგებნენ. წარმოდგენის შემდეგ ნადიმი გაიმართა, რასაც დასვლებიც დაესწრენ: აქ ბევრი საგულისხმო სიტყვა ითქვა. ნად მ. მეორე დილამდე ვაგრძელდა, დილით ვ. გუნია სიმღერა-ტაშით ბინამდე მიაცილეს, აქ მსახიობმა ადუთქვა მეფამ მზად ვიქნები სამსახური გაგიწოთოო.

წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა და ვ. გუნიამ-მიერ არჩილის როლის შესრულებამ ხომ მთლად მოაჯადოვა დამსწრენი. ხალხი, ვიმეორებთ, მრავალი დაესწრო და ბევრი უბილეთობის გამო უკუ მიიქცა.

სულით და გულით ვუსურვებთ, ახალ-სენაკის იაკენს მოდგაწეეთ, ხელოვნების ფარგლებში შენ-ჩემობა დასობანობა უკუ ეგდოთ და შეთანხმებით ემუშავსოთ თვისდა სასახელოდ—ჩვენი ქვეყნის საბედნიეროდ.

ლაერტი

ხაზინის თეატრში 28 მკათათვეს მსახიობ მ. მდივანის საბენეფიციოდ წარმოადგინეს „ქრისტინე"—ირეიელისა. წარმოდგენამ საუკეთოვთ ჩაიარა, განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები მ. მდივანმა (ქრისტინე) და ლოდობეროძემ. სცენის მოყვარეთგან კარგად ასურათებდენ მ. წივნიკაძე და ლ. ჯანტურიშვილი. ხალხი ბევრი დაესწრო.

30 მკათათვეს ვ. ურუშაძემ გამართა წარმოდგენა. წამოდგენილ იქმნა მისივე „ძეწნი": პიესამ კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით კარგი იყო ვასო ურუშაძემ გურული სცენების წაკითხვით ბევრი აკანა დამსწრე საზოგადოება. 31 მკათათვეს წარმოადგინეს „მეზობლები;" წვიმის გამო ხალხი ცოტა დაესწრო. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა.

გ. ხონელი.

დ. ხურაბეში სამშაბათს, 2 მარიამობისთვეს ადგილობრივ საკრებულოს ბაღში მსახიობმა ი. ზარდალიშვილმა ხაშურის სცენ. მოყვ. დახმარებით გამართა წარმოდგენა 3 გაგე. 1 „უშტეინძე" (1 მოქმ.), 2—„სოფლის ფერშალი", თოგუნანი და 3—დიეერტისმენტი.

საღამოს ხალხი ბლომათ დაესწრო 3 მარიამობისთვეს ამავე ბაღში გაიმართა „სალიტერატურო საღამო", ბელეტრისტმა ი. ნიკოლაიშვილმაწაიკითხა მოთხრობა „ტუფლები", რამაც საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა: ჩვენმა მსახიობებმა: ნ. დავითაშვილმა, ე. ანდრონიკაშვილმა და შ. დადიანმა წაიკითხეს ი. ჭავჭავაძის, ჯორჯიკიასი და სხვათა ლექსები და მოთხრობები. საღამოში, როაორც გამოცხადებული იყო, მონაწილეობა უნდა მიეღო ცნობილ იუმორისტს ბ-ნ თაგუნას, მაგრამ ის არ გამოსულა. მის მაგივრად საღამოში მონაწილეობა მიიღეს მგოსანმა ნ. ხჩიკაძემ და დრამატურგმა პ. ირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელმ. პირველმა წაიკითხა სამი საუცხოო ლექსი: „მონა ქალი“, „სამშობლო“ და „სიყვარული“, რასაც საზოგადოება სულ-განაბული უსმენდა. მგზავანი მხურვალე ტაშით დაუჯილდოვეს. დრამატ. პ. ირეთელმა წაიკითხა საკუთარი იუმორისტული მოთხრობა „სიზმარი“ და დამსწრენი ძალიან გაამხიარულა წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა. ხალხი ბლომათ დაესწრო და ღამის 12 ს. ნასიამოვნები დაიშალა. **ქაქალი**

წვრილი ამგვეგი

ნიტ. თ. ჟორდანია ავად გახდა თვალის ტკივა.

მკ. ივ. სარაჯიშვილისა სადათ დაკრძალ ს 11 მარიამბ. დიდებენში. არც ერთი გვირგვინი არ იყო. სიტყვები წარმოსთქვეს: ანტონ ეპისკოპოსმა, დ. გურამიშვილმა, ილ. ჩიქოვანმა, აკ. ფაღავამ, ი. მერკვილაძემ, ნ. დ. ერისთავმა და იოსებ იმედაშვილმ..

ანდერძი ეკ. ივ. სარაჯიშვილისა შემდეგ № დაიბეჭდ.

ხელაშვი 3 მარიამობისთვეს ქ. მეიერის თაოსნობით გაიმართა სალიტერატურო და საცეკვაო საღამო ორ განყოფილებად. მონაწილეობდნენ: ბელეტრისტი ი. ნიკოლაიშვილი და ქართული სცენის არტისტები: ნ. დავითაშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, შალვა დადიანი. (გამოცხადებულ მონაწილეთა შორის არ იყო თაგუნა) უამინდობის გამო, ხალხი, შედარებით, ცოტა დაესწრო.

დ. ხაშურში ახლად გახსნილ ქარხ. შორის წერა-კით. საზოგადოების განყოფილების გამგეობა ამ თვის დამლევამდე აპირობს, ამ განყოფილების ქონების გასაძლიერებლად, ორი საღამოს გამართვას: 1) დ. სურამში და 2) დ. ხაშურში. განზრახულია მოიწვიონ სურამში მყოფი მსახიობ-მწერალნი მონაწილეობის მისაღებად.

მსაბიოგ ი. ეიბეიძის ბენეფისი ბორჯომში ადგილობრივი საზოგადოების მიერ გაიმართება 16 მარიამობისთვეს.

ჟურნალის სასარგებლოდ მივიღეთ:

ბატონო რედაქტორო! ქალაქდის სიძვირის გამო, გაახლებთ—**სამს მანეთს** თქვენი პატივცემულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ.

„თეატრი და ცხოვრების ხელის მომწერი

სოფრომა კერვალიშვილი

სტ. გრიგოლ ზურაბის ძის ხერხულიძის გარდაცვლების იარმოკის შესრულების წირვა-პანაშვიდი გადახდილ იქმნება ნ ძალადევის ეკლესიაში **კვირას, მარიამობისთვის** 21, შუადღის 12 საათზე, რასაც აცხადებენ განსვენებულის მშობელნი ზურაბ და ოლღა, და-ძმა სოფიო და მიხეილ და რძალი დარიკო.

ახალ კლუბი

1 კვირის პროგ 14—21 აგვისტო

ოკრშაბათი—რუსული ოპერეტა

სამშაბათი—სიმფ. კონც. რასტრაფოვიჩის

ოთხშა. სიმფ. კონ. როსტრნის ბენეფ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. (უფას); საზხნდარი

პარასკ.—სინემატოგრაფი; მუსიკა.

შაბ.—სიმფ. კონ. სარაჯიშვილის მონაწი.

კვირა—საბავშო საღამო, მუს.სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ სა

სუფასასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლო. სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1.05 კ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 14—21 აგვისტო

კვირა—კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზხნდარი.

ოკრშაბათი—სინემატოგრაფი; სამხ. მუსიკა.

სამშაბათი-კოაცერტი-კაბარე:სიმებიანი ორკ.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა; ბალიშ სამხედრო—მუსიკა

ხუთშაბათი—სინემატოგრაფი; საზანდარი.

პარასკევი-სინემატოგრაფი; სამხედრო მუსიკა.

შაბათი—საღამო—მეჯლისი; სიმებიანი ორკესტრი,

კვირა—სინემატოგრაფი მუსიკ

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა

ქუთაისში
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა